საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2936-02
24/09/2025

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს თანამედროვე ისტორიის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის დაწესებული სტივენ ჯონსის სახელობის სტიპენდიის გაუქმების შესახებ“ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 19 ივლისის N 1056-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, მე-19 მუხლის 1-ლი და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2025 წლის 19 სექტემბრის N6 სხდომის ოქმის გადაწყვეტილებისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 20 სექტემბრის N 15929-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებთ:

1. შევიდეს ცვლილება რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 19 ივლისის N 1056-03 ბრძანებაში და მისი მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეიცვალოს სტივენ ჯონსის სასტიპენდიო ფონდის მიზნობრიობა და ფონდში დარჩენილი ფულადი სახსრები მიმართულ იქნას მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სკოლებისა და სხვა აქტივობების განსახორციელებლად.“.

2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტსა და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს აღნიშნული ინფორმაციის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის და დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.
4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციული პროცესების კოორდინაციისა და მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, რექტორის მოადგილეს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი

ქეთევან დარახველიძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE